

სკოლა _____ კლასი _____

სახელი _____ გვარი _____

ტელეფონი _____

ამოცანა 1: ბიბლიოთეკის თაროები

როცა ბიბლიოთეკის თითოეულ თაროზე აწყობენ 10 წიგნს, მაშინ ბოლო თაროს აკლდება 2 წიგნი. როცა თითოეულ თაროზე აწყობენ 12 წიგნს, მაშინ, რამდენიმე თაროს შევსების შემდეგ, რჩება 8 წიგნი.

რამდენი წიგნი ყოფილა სულ, თუ ცნობილია, რომ ეს რაოდენობა 350-ზე მეტია და 400-ზე ნაკლები? (პასუხი დაასაბუთეთ).

ამოცანა 2: სალათები

ჩატარდა მზარეულების კონკურსი სალათების მომზადებაში. მზარეულებს მისცეს ოთხი სახეობის ბოსტნეულის მარაგი – კარტოფილი, კომბოსტო, სტაფილო და ჭარხალი. მზარეულებს უნდა მოემზადებინათ სალათები, ოღონდ თითოეულ სალათში უნდა გამოეყენებინათ მხოლოდ სამი სხვადასხვა ბოსტნეული მოცემული ოთხიდან.

გამარჯვებულად გამოცხადდა ის მზარეული, რომელმაც ყველაზე გემრიელი სალათები მოამზადა. მან ყველაზე მეტ სალათში გამოიყენა კარტოფილი, ასეთი მან სულ 10 სალათი მოამზადა. ყველაზე ნაკლებში გამოიყენა ჭარხალი, ასეთი სულ 7 სალათი გააკეთა.

სულ რამდენი სალათი მოამზადა გამარჯვებულმა მზარეულმა? (პასუხი დაასაბუთეთ).

ამოცანა 3: ლაბორატორიაში

ლაბორატორიაში არის წყლით სავსე 3 ბოთლი. ერთ-ერთ მათგანში შეიძლება იყოს შერეული შხამი, რომლის უმცირესი დოზა არის სასიკვდილო. ნებისმიერი ცოცხალი ორგანიზმი კვდება ამ შხამის მიღებიდან ზუსტად ორი დღის შემდეგ.

ლაბორატორიაში ჰყავთ ორი საცდელი ბაყაყი და უნდათ, რომ რაც შეიძლება მალე დაადგინონ, ნამდვილად არის თუ არა რომელიმე ბოთლში შხამი და თუ არის – რომელში. რამდენი დღე დასჭირდებათ დასადგენად? როგორ უნდა მოიქცნენ?

ამოცანა 4: მატარებლები

მატარებელი გამოვიდა თბილისიდან ბათუმისკენ და მიდის 40 კმ/სთ სიჩქარით გაჩერებების გარეშე. მეორე მატარებელი გამოვიდა მის შესახვედრად ბათუმიდან და ისიც მოძრაობს გაჩერებების გარეშე 35 კმ/სთ სიჩქარით.

რა მანძილი იქნება ამ მატარებლებს შორის შეხვედრამდე ორი საათით ადრე? (პასუხი დაასაბუთეთ).

ამოცანა 5: რა რიცხვი მიიღება?

დაფაზე ეწერა 105 ცალი ერთიანის ჯამი: $1+1+1+. . . +1$. მივიდა გია და ყოველ მესამე ერთიანს ნიშანი სანინაალმდეგოთი შეუცვალა. ამის შემდეგ მივიდა გელა და ყოველ მეხუთე ერთიანს ნიშანი სანინაალმდეგოთი შეუცვალა. ამის შემდეგ მივიდა კახა და ყოველ მეშვიდე ერთიანს ნიშანი სანინაალმდეგოთი შეუცვალა. შეგახსენებთ, რომ პლიუსის სანინაალმდეგო ნიშანი არის მინუსი, ხოლო მინუსისა – პლიუსი.

ამის შემდეგ მივიდა აჩიკო და იანგარიშა დაფაზე დანერვილი არითმეტიკული გამოსახულების მნიშვნელობა.

რა რიცხვი მიიღო აჩიკომ? (პასუხი დაასაბუთეთ).